ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1414142

ნომერი: AR1241111

თარიღი : 30.07.2014

გაცემის თარიღი : 05.08.2014

გაცნობის თარიღი : 06.08.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხიზანიშვილი , N 80 / ქალაქი თბილისი , გლდანის VII და VIII მკ/რ-ებს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარინე ქვრივიშვილი პ/ნ 01001051653
- ქ.თბილი,გლდანის მე-7 მ/რ,კ4,ბ175

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1318523
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 25.06.2014

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 2014 წლის 30 ივლისს შემოსული №AR1241111 ელექტრონული განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი – გლდანი, ქუჩა ხიზანიშვილი, №80/ქალაქი თბილისი, გლდანის VII და VIII მკ/რ-ებს შორის, შპს "კანდიდი" საშუალო სკოლის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. საკ. კოდი №01.11.10.006.026), არსებული შენობის (სკოლის) რეკონსტრუქციის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2014 წლის 22 ივლისის №ბ-12/14182746-16 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევების წერილობით დადასტურებას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 24.03.09 წ. №57 დადგენილების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის "პ" ქვეპუნქტის თანახმად - "ქ. თბილისში (გარდა V კლასის შენობა-ნაგებობებისა) თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას, თუმცა სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და დამკვეთს უარი ეთქვა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე, დამკვეთის მიერ ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოში წარდგენის შემდეგ აღნიშნული ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის გარეშე უკვე განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობასა და მისი დასაშვებობის დადასტურებაზე. ასეთ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტისაგან განსხვავებით, ნაწარმოები მშენებლობის დადასტურება ხდება წერილობითი ფორმით. განხორციელებული მშენებლობის გათვალისწინებით მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს დამატებითი დოკუმენტაცია. დადასტურების წერილი მშენებლობის ნებართვის განუყოფელი ნაწილია და უნდა დაერთოს ამ დადგენილებით განსაზღვრული სამშენებლო დოკუმენტის ყველა ეგზემპლარს;"

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე სამსახური ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – გლდანი, ქუჩა ხიზანიშვილი, №80/ქალაქი თბილისი, გლდანის VII და VIII მკ/რ-ებს შორის, შპს "კანდიდი" საშუალო სკოლის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. საკ. კოდი №01.11.10.006.026), არსებული შენობის (სკოლის) რეკონსტრუქციის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2014 წლის 22 ივლისის №ბ-12/14182746-16 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებითი მოთხოვნებთან შესაბამისობას და მათ დასაშვებობას ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.

წინამდებარე წერილობითი დადასტურება განიხილება პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე სამსახურის 2014 წლის 25 ივნისის №1318523 ბრძანებასთან ერთად და წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის განუყოფელ ნაწილს.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.